

ნაციონალიზმების კონფლიქტი თუ თანამშრომლობა
(საქართველოს შემთხვევა)

მაკა კველიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

საქართველოში ნაციონალიზმის ფაზა გარდამავალ და მოწყვლად ფაზაზეა. ზუსტად ის დროა, როდესაც ქვეყნის სახელმწიფოებრიობამ განვითარების გარკვეულ ეტაპს მიაღწია და სურს ახალ ეტაპზე გადასვლა. გადასვლა არ/ვერ გადასვლის ჭიდილში ქვეყნის განვითარების საკითხი ბევრი ექპერტისთვის სადაოა. მიუხედავად ამისა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი დიდი ხანია დაწყებულია და განვითარებაც, ერთგვარად, გარდაუვალი პროცესია. საკითხი უფრო რთულდება თუ გავიხსენებთ საქართველოსთვის ნაციონალიზმის გააზრებისა და შეთვისების, შემდეგ გაქრობისა და კვლავ დაბრუნების გრძელ ეპოპეას, რომელიც ექპერტთა აზრით, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძიდან იღებს სათავეს.

მოცემული ნაშრომის მიზანია ნაციონალიზმის დისკურსი ქვეყნის განვითარების პროცესსა და ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე, იმგვარად, რომ ცხადი გახდეს, კონკრეტული ვარიაციები ქართული ნაციონალიზმის იმ კონცეფციებისა, რომლებიც ქვეყანამ პოლიტიკური განვითარების გზაზე გამოიარა. ნაშრომი განიხილავს რელიგიური და სამოქალაქო ნაციონალიზმის არსებობა/ არ არსებობის საკითხს, წარმოშობისა და განვითარების ეტაპებსა და ურთიერთთავსებადობისა და კონფლიქტის სფეროებს.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე მკვლევართა და ავტორთა თეორიები ნაციონალიზმის შესახებ, იმისათვის, რომ უპირველეს ყოვლისა, გააზრებულ იქნას ნაციონალიზმის, როგორც ცნების ძირითადი არსი, ნაციონალიზმის, როგორც ერის, ქვეყნის ან ერთობის, ერთიანობის კონსტრუქტი, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოებრიობის, პოლიტიკური სპექტრის განვითარების ძირითადი მადეტერმინირებელია.

ნაშრომის ემპირიული ნაწილი ეფუძნება წერილობით წყაროებსა და ინტერვიუებს სფეროს ექსპერტებთან, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწე სპეციალისტებთან ჩატარდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა:

- საქართველოს ისტორიაში სამოქალაქო ნაციონალიზმს ვხვდებით ფრაგმენტულად, მისი ჩამოყალიბება არ დასრულებულა;
- რელიგიური ნაციონალიზმი საქართველოში არ არსებობს, ქართულ რეალობაში არსებობს მყარად გამჯდარი რელიგიური იდენტობა, რომელიც ინტეგრირებულია ეთნონაციონალიზმთან და ამ ფორმით წარმოადგენს გარკვეული ტიპის ჰიბრიდულ ნაციონალიზმს;
- საქართველოს ისტორიაში ვხვდებით რელიგიური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს ფრაგმენტულ თანამშრომლობას, თუმცა ეს არ ყოფილა ღირებულებათა და არსებობათა თავსებადობა. აღნიშნული მხოლოდ დაქვემდებარებულობისა და დომინაციის მცდელობას წარმოადგენს;
- ქვეყანაში არსებული ჰიბრიდული ტიპის ნაციონალიზმი (რელიგიური იდენტობა-ეთნონაციონალიზმი) კონფლიქტშია სამოქალაქო ნაციონალიზმთან. ამას სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეების, ღირებულებებისა და მისწრაფებების დღევანდელი ეკლესიის ღირებულებებთან შეუთავსებლობა განაპირობებს;
- ამ ეტაპზე რელიგია საქართველოში ზე-ნაციონალურია და ის ვერ იქნება სამოქალაქო ნაციონალიზმთან თავსებადი;
- საქართველოში სამოქალაქო ნაციონალიზმის სრულფასოვნად არსებობის შემთხვევაში ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობაზე

დაფუძნებული ნაციონალიზმი ვერ იარსებებებს. ისინი დამოუკიდებლად და განსხვავებულად განსაზღვრავენ ქვეყნის(ერის) განსხვავებულ კურსსა და ინტერესს.

Abstract

At the moment Georgia is going through transitional period of Nationalism. It's just the period the country's statehood has reached the definite point of development and intends to move to the new stage. While passing this transitional period the issue of the country's future development makes certain experts feel suspicion about. Despite this fact the formation process of Georgia as a state has begun a long time ago and the state development itself is really an inevitable process. The issue becomes trickier to follow if we take into account the long-lasting period of realization and adoption and then disappearance and regaining of nationalism by Georgia. According to a number of experts nationalism has its roots in the early period and the founder of it was Ilia Chavchavadze. The goal of the following research is to discuss nationalism connected to the development process of the state and Georgian political arena so as to make clear certain variations of the concepts of Georgian nationalism that the country has passed through its political development. The research concerns the issue of suspicious existence of religious and civil nationalism, the stages of their origin and development as well as their compatibility and conflict. The theoretical base of the research relies on the theories of nationalism by certain modern researchers and authors, so that to comprehend the principal point of nationalism, that represents united construction of the country. Accordingly nationalism defines development of the political spectrum and modern statehood. Empirical part of the work is based on written sources and interviews with the experts, which were conducted with the specialists of the field. The research revealed the following:

- In Georgian history we can only see civil nationalism as fragmentary, as its formation hasn't finished.
- There is no religious nationalism in Georgia. In Georgian reality there firmly exists religious identity only, that is integrated with ethno nationalism and so represents some type of hybrid nationalism;

- In the history of Georgia we witness the instances of collaboration among religious institutions and state, though not compatibility or coexistence. This collaboration was only an attempt of subordination and domination.

- The hybrid type nationalism (religious identity-nationalism) that is mentioned in the case collides to the civil nationalism, which is the result of incompatibility of the nationalism ideas and values to the values of the modern church.

- Today religious in Georgia is extremely national and it can't be compatible with the civil nationalism.

- In Georgia Nationalism based on ethnical and religious identity will never exist at the same time with the civil nationalism. They determine a nation's course and interest differently and independently.